



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ოქტომბერი 2024



N 609/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. №5-ში შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. №5-ში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. №5-ში, შპს „ჯორჯია სთილ მილს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.16.002.005; ფართობი: 9 603 მ²) განთავსებულ შენობა-ნაგებობის ნაწილში, რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული შენობიდან საწარმო განსათავსებლად გამოყენებული იქნება 205 მ², საიდანაც 115 მ² ფართობზე მოეწყობა ნარჩენების აღდგენის ხაზი, ხოლო 90 მ² ფართობზე – ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის საწყობი. საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: X-494043, Y-4615696; X-494055, Y-4615697; X-494057, Y-4615688; X-494056, Y-4615685; X-494057, Y-4615680; X-494045, Y-4615679. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 58 მეტრით, ხოლო უშუალოდ შენობა-ნაგებობიდან – დაახლოებით 130 მეტრით. საწარმოო შენობის სამხრეთ ნაწილში განთავსებულია შპს „გრინტექ გრუპის“ სახიფათო ნარჩენების (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები) წინასწარი დამუშავების საწარმო. საპროექტო ტერიტორიას, აღმოსავლეთით, ემიჯნება შპს „ექსკლუზივის“ პოლიმერული ნაკეთობების საწარმო. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ასევე განთავსებულია შპს „პოლიეთილენის“ პოლიეთილენის პარკებისა და პოლიპროპილენის ტომრების და შპს „ჯეოკვიპის“ პოლიმერული მასალების დამამზადებელი საწარმოები, რომლებიც არ ფუნქციონირებს. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით გადის საავტომობილო გზა, რომელიც უკავშირდება კახეთის გზატკეცილს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე გათვალისწინებული ნარჩენების აღდგენის ხაზი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველად ხაზზე (არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება) მოხდება პოლიპროპილენისა და პოლიეთილენის ნარჩენების რეცხვა და დამსხვრევა, ხოლო მეორად ხაზზე (ნარჩენების აღდგენა) – გრანულების წარმოება. პირველადი ხაზი აღჭურვილი იქნება შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარებით: სამსხვრევ-დამაქუცმაცებელი, გამრეცხი დანადგარი, დეჰიდრატაციის დანადგარი (ნედლეულის გაუწყლოება/გაშრობა), სამსექციანი სალექარი და ელექტრული კონტროლის.

მეორადი ხაზი აღჭურვილი იქნება შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარებით: სამსხვრევ-დამაქუცმაცებელი, ჰორიზონტალური წყალსაკრებით აღჭურვილი ერთშნეკიანი ექსტრუდერი, გრანულირების სისტემა და ელექტრული კონტროლის კაბინეტი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 270 დღე, 8-საათიანი სამუშაო გრაფიკით და უზრუნველყოფს წელიწადში 600 ტონა პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების აღდგენას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდები: 07 02 13 – პლასტმასის ნარჩენი; 15 01 02 – პლასტმასის შესაფუთი მასალა; 19 12 04 – პლასტმასი და რეზინი; 20 01 39 – პლასტმასი) შეტანა განხორციელდება მარაგადახურული ავტოტრანსპორტით, დაპრესილ და შეფუთულ მდგომარეობაში, საქართველოში არსებული სხვადასხვა წარმოებებიდან და დროებით განთავსდება ნედლეულის საწყობში. საწყობიდან ნედლეული მიეწოდება წინასწარი დამუშავების ხაზის მიმღებ ბუნკერს, ხოლო შემდგომ – სამსხვრევ-დამაქუცმაცებელს, სასურველ ზომაზე დასაჭრელად. დამუშავებული ნედლეული, დახურული ტიპის ტრანსპორტით, გადაინაცვლებს გამრეცხ დანადგარში, სადაც გაირეცხება და მოშორდება მყარი ნაწილაკები. გარეცხილი ნედლეული, გამოშრობის მიზნით, გადავა დეჰიდრატაციის დანადგარში, საიდანაც ჰაერის კომპრესორის მეშვეობით, ჩაიყრება ტომრებში (ე.წ. „ბიგ ბეგი“) და დროებით დასაწყობდება ნედლეულის საწყობში, გრანულირების ხაზზე შემდგომი გადამუშავების მიზნით. გრანულირების ხაზის ტექნოლოგიური პროცესი დაიწყება ე.წ. „ბიგ ბეგიდან“ ნედლეულის საჭრელ კომპაქტორში ჩატვირთვით, სადაც მოხდება მისი დაქუცმაცება და აგლომერაცია. აღნიშნულის შემდგომ, დაქუცმაცებული ნედლეული, გათბობისა და პლასტიფიცირებისათვის, ხელით მიეწოდება ექსტრუდერს. ექსტრუდერიდან, მაღალი ტემპერატურის პირობებში გამლღვალი ნედლეული გამოვა ე.წ. პლასტმასის ძაფების სახით, რომელიც განთავსდება სპეციალურ რკინის კონსტრუქციაზე და გაციების შემდგომ მიეწოდება გრანულატორს. მიღებული გრანულები ჩაიყრება ტომრებში და შემდგომ რეალიზაციამდე განთავსდება მზა პროდუქციის საწყობში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე – როგორც სასმელ-სამეურნეოდ, ისე საწარმოო მიზნით, რისთვისაც, ორივე ეტაპზე, წყალაღება გათვალისწინებულია ქ. თბილისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ამასთან, ობიექტზე მოეწყობა ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ, ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეგროვდება სამსექციან სალექარში (სამნაწილიანი ფილტრაციის აუზი; GPS კოორდინატებია: X-494044, Y-4615692) და გაწმენდის შემდგომ დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მოწყობის ეტაპზე გათვალისწინებულია შენობის მოსამზადებელ-მოსაწესრიგებელი სამუშაოები და ასევე, შენობის გარეთ, ბრუნვითი წყალმომარაგებისთვის განკუთვნილი სამსექციანი სალექარის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2-3 სამუშაო დღეს და დასაქმდება 5 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი მცირეა, ხოლო მიმდებარედ ფუნქციონირებს სხვა საწარმოებიც, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და სატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში მითითებულია, რომ ობიექტის ფუნქციონირების პროცესში

წარმოქმნილი ხმაურის დონე შეადგენს დაახლოებით 75 დბა-ს, ხოლო უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე იქნება 30 დბა, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშებისა და დასაბუთების გარეშე. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოში იფუნქციონირებს როგორც არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების, ისე გრანულირების ხაზი, რომელთა შემადგენლობაში შედის ხმაურწარმოქმნელი წყაროები, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია მცირე მანძილით, ხოლო მიმდებარედ ასევე ფუნქციონირებს სხვა საწარმოებიც, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები წარმოდგენილი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქ. №5-ში, შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვეისთ მენეჯმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/609-21-4-202410291200>

